The European Union for Georgia

ENPARD: Support to Agriculture and Rural Development

RURAL AND AGRICULTURAL POLICY AND DEVELOPMENT INSTITUTE

საქართველოდან ევროკავშირში იმპორტის მოთხოვნები

თაფლი

დოკუმენტი მომზადებულია „სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტის მიერ. პროექტი ხორციელდება ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. დოკუმენტში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

რა არის თაფლი?

თაფლი არის ბუნებრივად ტკბილი ნივთიერება, პროდუქტი, რომელიც მიიღება მეთაფლია ფუტკრის (Apis-mellifera) მიერ ყვავილის ნექტრის ან ცვარტკბილის შეგროვების, მისი გარდაქმნის, დეჰიდრატაციის (გაუწყლოების) და ფიჭაში მომწიფების მიზნით შენახვის შედეგად

რომელი ნორმატიული აქტი ადგენს თაფლთან დაკავშირებულ მოთხოვნებს?

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №714 დადგენილება „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ბაზარზე განთავსებული თაფლი

სარეალიზაციოდ დამზადებულ თაფლს არ უნდა ჰქონდეს დამატებული:

- სურსათის სხვა ინგრედიენტი
- საკვებდანამატები
- სხვა არასასურველი ნივთიერებები
- არ უნდა ჰქონდეს უცხო ნივთიერების სურნელი
- არ უნდა იყოს დაწყებული ფერმენტაცია
- არ უნდა მოშორდეს ყვავილის მტვერი

დაუშვებელია:

- თაფლის გაცხელება ან გადამუშავება ისე, რომ მისი ძირითადი შემადგენლობა შეიცვალოს და/ან გაუარესდეს მისი ხარისხი
- გაცხელებისას ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 45 C- ს - ფიჭების დაპრესით მიღებული თაფლისა;
- თაფლის კრისტალიზაციის საწინააღმდეგოდ მისი ქიმიური და ბიოქიმიური დამუშავება

რა უნდა გამოვიკვლიოთ თაფლში:

- შაქრის შემცველობა - ფრუქტოზის და გლუკოზის ჯამური (საერთო) რაოდენობა
- საქაროზის შემცველობა
- სინესტის მასური წილი
- წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები
- ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)
- საერთო მჟავიანობა
- დიასტაზური (ამილაზური) აქტივობა და ჰიდროქსილმეთილფურფურალი (ჰმფ), რომლის განსაზღვრა ხდება თაფლის დამუშავებისა და შერევის შემდეგ

თაფლი წარმოადგენს ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტს

- დირექტივა 96/23-ით განსაზღვრული ნივთიერებების და მათი ნარჩენების (მათ შორის ვეტპრეპარატების) მონიტორინგი ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში
- ჯგუფი A - ანაბოლიკები და არაავტორიზებული პრეპარატები
- ჯგუფი B - ვეტერინარული პრეპარატები და სხვა კონტამინანტები

ჯგუფი A - სავალდებულოდ გამოსაკვლევი ანტიმიკრობული სუბსტანციები:

- ქლორამფენიკოლი (ლევომიცეტინი);
- ნიტროფურანები- ფურაზოლიდონი;
- ფურალტადონი, ნიტროფურაზონი;
- ნიტროფურანტოინი.

ჯგუფი B - სავალდებულოდ გამოსაკვლევი ანტიმიკრობული სუბსტანციები:

- სულფანამიდები, თილოზინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი

თაფლი: 0409 00 00 00

- ტარიფი: ყველა სხვა ქვეყანა = 17 3% → საქართველო = 0%

სავალდებულო მოთხოვნები:

- სურსათის ეტიკეტირება
- დამაბინძურებლების კონტროლი
- პესტიციდების ნარჩენების კონტროლი
- ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების კონტროლი
- ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ჯანმრთელობის კონტროლი
- მიკვლევადობა
  ნებაყოფლობითი სტანდარტები
- ორგანული პროდუქციის და სხვა

ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

- ნატურალური თაფლი აწარმოოს და ბაზარზე განათავსოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- თაფლი აწარმოოს იმ დეკლარირებული სტანდარტის შესაბამისად, რომლის დეკლარირებასაც განახორციელებს იგი;
- აკმაყოფილებდეს სპეციალური წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კოსტავას ქ. N47, ოფისი #23, 0179, თბილისი, საქართველო
www.rapdi.org info@rapdi.org